[illegible] № 260 ოთხშაბათი, 19 ივნისი 1918 წ. № 260

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., ქრონიკის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., შემდეგ—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (გ. თავართქილაძის ყოფილი „ნადეჟდა") ბარათაშვილის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 8.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გ. ქურულის თხოვნა გადადგომის შესახებ მთავრობამ არ შეიწყნარა.—მუსულმანთა კორპუსი განჯას გადავიდა.—განჯაში ოსმალოებმა სომხებს იარაღი აჰყარეს.—ქიურდამირი ბაქოს ჯარმა აიღო: ქიურდამირისაკენ გაემგზავრა ოსმალოების ეშელონები.—ბულგარეთში მთავრობა გადადგა.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

შაბათს ივნისის 22 ქ. სიღნაღში ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში, გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, ბრძოლის ველზე გმირულად მოკლულ პოლკოვნიკ

გიორგი პავლეს ძის

კობეშავიძის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გულმოკლული მისი ოჯახობა. 646

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახალ შენობ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს, ივნისის 19-ს გაიმართება

კაპელდინერების დღესასწაული

მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობები სცირკო ხელოვნებისა. პირველი გასტროლი მოსკოვსა და პეტროგრადში ცნობილის ძმ. ვულისა და მაის. მონაწილეობენ აგრედვე ბონბონ და ბოდი, ელიზაროვი, კამო და სხვ. დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 ს.

მთავარი ადმინისტრატორი: პ. ელიზაროვი. 647

ტფილისის ქართული საფილორმონიო საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამ წლის 26 თიბათვეს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათ. დანიშნულია არაჩვეულებრივი საგანგებო საზოგადო კრება, რომელზედაც კრებას მოხსენდება გეგმა ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. 1197

ძმ. ვეფხვაძეების

კვასის და ლიმონადის ქარხანაში მზადდება, საუკეთესო გემოს და სუნის ხილეულობის და ხელოვნური მინერალური წყლები.

განახლდა კვასის მზადება

აქვე იყიდება ნამდვილი ღვინის ძმარი, თეთრი და წითელი

მისამართი. ქარხნის: კუთხე გოგოლის და ბატარეის ქუჩებ. მაღაზია სადგურის პირდაპირ „ეტაფნი დვორის" გვერდით. 642

განცხადება

შიათურის ქალაქის თვითმართველობა საჩქაროდ იწვევს ქალაქის აფთიაქისთვის გამოცდილ და მცოდნე აფთიაქის გამგე

პროვიზორს-ბაქტერიოლოგს

განცხადებები და საბუთები გამოგზავნილ უნდა იქნას ქალაქის გამგეობის სახელზე 1 ივლისამდე. სამსახურის პირობების გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობაში.

1194 შიათურის ქალაქის გამგეობა.

საზოგადოება „იმედი"-ს

სასადილო

ძველი სემინარიის შენობა, პუშკინის სკვერის პირდაპირ.

გაუმჯობესებულია სამზარეულო,

ღირსეულ ხარისხოვანი სანოვაგე, ამზადებენ ვახშამს, რუმინელთა სიმებიანი ორკესტრი საღამოს 8 ნახ.—12 ნახ. საათამდე. 551

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა

ტფილისი. 19 ივნისი 1918 წ.

დემოკრატიული ფრონტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება არაჩვეულებრივ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცვლილებებს იწვევს ჩვენს ცხოვრებაში. პარლამენტარულ მთავრობის წინაშე გადასაჭრელად და ცხოვრებაში გასატარებლად წამოყენებულია მრავალი საქმე, რომელიც ეხება როგორც წმინდა ეროვნულ ცხოვრებას, ისე საერთაშორისო ძალთა განწყობილებას. ამ საკითხების პრაქტიკის სფეროში გადატანა ზოგს ჯგუფს სურს თავისი კლასობრივ და ეროვნულ მერკანტილიზმს დაუქვემდებაროს და ამის გარშემო სასტიკი ბრძოლაა გაჩაღებული საქართველოს პარლამენტში.

დღემდე გაჩუმებული ძალები, ნიღაბ ახდილნი გამოვიდნენ ეხლა ქართველ ერის წინაშე და სრულს დავიწყებას მისცენ ეროვნებაც და დემოკრატიაც. ერისათვის საჭირო ელემენტარული რეფორმები უნდათ ჩაჰკლან და ამნაირად რევოლიუციის მთელი მონაპოვარი გააქარწყლონ. საქართველოს ხალხის წინაშე წარმოსდგა პირბადე ჩამოხსნილ ფეოდალურ და ნახევრად ბურჟუაზიულ ძალთა საფრთხე, რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვენ იმ წყობილების და სისტემების შემოღებას თანამედროვე მართვა-გამგეობის საფუძვლად, რომელიც ძველ თვითმპყრობელობის ნიადაგს შეადგენდა, ამ დამღუპველ უუფლებრივ ნორმების რესტავრაციის პათოსით ქადაგებენ პარლამენტსა და პრესაში და უნდათ გამოიწვიონ საამისო ფსიქოლოგიური ატმოსფერა.

საქართველოს დემოკრატია, რომელიც გამობრძმედილია რესტავრატორების და რეაქციონერების საწინააღმდეგო ბრძოლაში, ეხლაც ადვილად გაიგებს საქმის ვითარებას და ამ კამპანიას პასუხს გასცემს არა მარტო ზიზღითა, არამედ ყველა იმ პროექტების განადგურებით, რომელიც დემოკრატიულ მთავრობის დასახელებულია.

შინაურ რეაქციონერებს დღეს მხარს უჭერენ ყველა ჯურის შოვინისტები, უცხო ერის ყოფილი ჩინოვნიკები, ადმინისტრატორები, კადეტები და რუსის მემარჯვენე ესერები, რომელნიც თავის უნიადაგო არსებობის განმტკიცებას ცდილობენ საქართველოს რესპუბლიკანურ მთავრობის დაცემით. დღემდე ჩვენი საზოგადოება არ იცნობს ამ ელემენტების არც ერთ სერიოზულ პროექტს, რომლითაც შეიძლებოდეს ჩვენი ვითომდა დაღუპულ ქვეყნის გადარჩენა, გვესმის მხოლოდ დემაგოგია, ლათაიები და ის სქემები, რომელიც სცადეს რუსეთში კადეტებმა და ბოლშევიკებმა, მაგრამ რომლითაც რუსეთი მივიდა დაღუპვის კარამდე.

ამ პროექტების და ნაღველ ნარევ წინადადებათა ფასი ჩვენმა დემოკრატიამ ძალიან კარგად უწყის, ყველა ამ ძალთა დღეინდელი გამალებული სისინი უსარგებლოდ არ ჩაივლის ქართველ ერისათვის. ჩვენი შეგნებული დემოკრატია ხედავს ეხლა, რომ მემარჯვენე ელემენტების აზმაურებამ შინ და გარედ შექმნა მთლიანი ეროვნული, სოციალისტურ-დემოკრატიული ფრონტი, რომელშიაც შედიან სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სოც.-რევოლიუციონერები.

გაჭირვების მომენტი საუკეთესო პირობაა სხვა და სხვა ჯგუფის სულისკვეთების გამოსარკვევად. ქართველი ერი დემოკრატიული ერია და მიუხედავად დემოკრატიის დიფერენციაციისა ჩვენში შექმნილია ერთი მთლიანი ქართული დემოკრატიული ფრონტი. ეს მომენტი, საქართველოს პარლამენტში ივნისის 15—16 გამოაშკარავებული, არის საუკეთესო თავდები ჩვენი ქვეყნის მომავლისა, აქ გამოიხატება მტკიცე ეროვნული ნებისყოფა.

რამდენადაც ამ ფრონტს მეტს წინააღმდეგობას გაუწევს შავრაზმული ძალა, მით ამ ფრონტის ენერგია გაცხოველდება და კიდევ მეტის მხნეობით გააკეთებს სახალხო საქმეს.

ეს საერთო ენის გამონახვა, დაახლოვება [illegible] სოციალისტურ და ეროვნულ ძალებისა ჩვენ მიგვაჩნია ისტორიულ მოვლენად და იმედს გვაძლევს: თუ დღემდე დაქსაქსულად მივდიოდით წინ უკეთეს მომავლისაკენ, ამიერიდან შეერთებულად, ერთად და მტკიცე ნებისყოფით წავალთ საერთო მიზნისაკენ.

სომხების პრეტენზიები

ორი საკითხი იწვევს სომხების დიდს უკმაყოფილებას. საკითხი ტერიტორიისა და ყოფილი ამიერკავკასიის ქონების გაყოფისა. ტერიტორიის საკითხს თუ ჯერ კიდევ აქვს რაიმე აზრი, ქონების გაყოფის შესახებ სომხებს, როგორც სჩანს, ყოვლად სასაცილო აზრი შეუთვისებიათ. სომხებს არ მოსწონთ რომ საქართველოს მთავრობამ ბორჩალოს მაზრა თავის ტერიტორიად გამოაცხადა და საყვედურს გვითვლის, თქვენ ოდესღაც ეთნოგრაფიულ პრინციპზე იდგით და ეხლა კი ეს ეთნოგრაფიული პრინციპი გადალახეთო. ჩვენც ჯერ-ჯერობით სომხების ამ პრეტენზიაზე გვინდა შევჩერდეთ.

როდესაც საქართველოს დემოკრატიული პოლიტიკური წრეები ეთნოგრაფიულ პრინციპს იცავდნენ, მაშინ სულ სხვანაირი მდგომარეობა იყო შექმნილი. საქართველო უწინ მოქცეული იქნებოდა ისეთს სახელმწიფოში რომლის საზღვრებიც სტრატეგიულად დაცული იქნებოდა შინაურ განვითარებას ქართველი ხალხისას მაშინ არავითარი საფრთხე არ მოელოდა. მაგრამ დღეს როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდაა გამოცხადებული, ყოვლად შეუძლებელია მისმა საზღვარმა ტრიალ მინდორზე გაიაროს. საქართველოს სრულიად არა ჰსურს სხვისი ტერიტორიის დაპყრობა, როგორც ამას სომხები ამბობენ, მაგრამ იგი მოვალეა ისეთი საზღვარით შემოფარგლოს თავისი სახელმწიფო, რომელიც დაიცავს მას გარეშე მტრის აგრესიული ზრახვებისაგან.

სტრატეგიული მიზანი ამ შემთხვევაში პირველს ადგილს იჭერს და ამიტომ საქართველოს ვერ შეუძლიან სასიცოცხლო ინტერესები თავისი ქვეყნის დაცვისა ისე დაახურდავოს და დააწვრილმანოს, როგორც ეს სომხებისა ჰსურთ.

რომ საქართველო ბორჩალოს მხრით უზრუნველყოფილი არ შეიძლება იყოს და რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მშვიდობიანობის დასაცავად საჭიროა საზღვარი ბორჩალოს მაზრასაც გასცილდეს, ამას დღევანდელი მდგომარეობაც ნათლად ამტკიცებს.

ზავი ოსმალეთთან თითქოს შეკრულია, მაგრამ ეს მაინც თურმე სრულიად საკმარისი არა ყოფილა საქართველოს საზღვრების უზრუნველსაყოფელად. ბორჩალოს მაზრაში ქართველების ჯარია გაგზავნილი და ამ ჯარს საშინელ წინააღმდეგობას უწევენ არა ბორჩალოს მაზრის სომეხი მცხოვრებნი, რომელნიც აღტაცებით ჰხვდებიან ქართველ ჯარს, არამედ სომხების ახალი მოკავშირე თათრები და მათ შორის მყოფი ოსმალოს ასკერები. ოსმალეთს გათავებული აქვს ჩვენთან დავა ტერიტორიის შესახებ, ყოველ შემთხვევაში გათავებული აქვს დავა ოფიციალურად. ამის და მიუხედავად მაინც გამოჩნდნენ ოსმალეთის ასკერები იქ, სადაც მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. რა მდგომარეობაში იქნებოდა ტფილისი, საქართველოს მთავრობას დროზე რომ არ მიექცია ყურადღება ამ გარემოებისთვის და არ მიეღო სასტიკი ზომები ბორჩალოს მაზრის გასაწმენდად საქართველოს მტრებისაგან? ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად ბორჩალოს მაზრაში დაგროვდებოდა საქართველოს საწინააღმდეგო ძალა და ეს ძალა ძალიან მალე ტფილისს დაემუქრებოდა. თუ ბორჩალოს მაზრა საქართველოს არ ეკუთვნის, ტფილისი ვერასოდეს ვერ იქნება უზრუნველყოფილი გარეშე მტრების თავდასხმისაგან.

როდესაც სომხები ბორჩალოს მაზრის ჩამოჭრას აპირებენ, ჰფიქრობენ თუ არა იმაზე, რომ ამით კარებს უღებენ ოსმალეთს და ამით თვით საქართველოს დამოუკიდებლობას დიდი საფრთხის წინაშე აყენებენ? იქნება ეს სომეხთა ზოგიერთი წრებისთვის ეს ხელსაყრელიც იყოს, მაგრამ არა გვგონია ეს სასარგებლო იყოს იმ მრავალ-რიცხოვან სომეხთათვის, რომელნიც თვით ბორჩალოში და ტფილისში ცხოვრობენ. მათ მშვიდობიანი ცხოვრება უნდათ და ვერასოდეს ვერ გაიზიარებენ იმ აზრს, რომ საქართველოს კარების გაღებით საფრთხეში ჩააგდენ ქართველ ხალხთან ერთად თვით საქართველოში მცხოვრები სომხებიც. ეს სომხის პოლიტიკური წრეების მხრით კიდევ ერთი პოლიტიკური დანაშაულობა იქნებოდა სომხის მცხოვრებლების წინაშე, რომლებიც ძალიან კარგად ჰგრძნობენ, რომ მათი არსებობა საქართველოში უფრო უზრუნველყოფილი იქნება, ვიდრე ნახევრად ველურ ბრბოების ხელში.

გარდა ამისა, რას წარმოადგენს ტფილისს მოწყვეტილი ბორჩალოს მაზრა? ბორჩალოს მაზრა ეკონომიურად ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ტფილისთან, რომ მას უტფილისოდ ერთს დღესაც ვერ შეუძლიან სიცოცხლე, უწევენ ამას ანგარიშს სომხის პოლიტიკოსები თუ არა? საქართველოსა და ბორჩალოს მაზრის შუა რომ სახელმწიფოებრივი საბჟოები ადიმართოს, ეს ეკონომიური სიკვდილი იქნება ბორჩალოს მაზრისთვის და დასამარება ამ მაზრის მცხოვრებთა ქონებრივი კეთილდღეობისა. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ხელსაყრელია ასეთი დაზარალება სომხეთისთვის, მაგრამ თვით მცხოვრებნი ხომ მადლობას არ ეტყვიან ამნაირი პრეტენზიებისთვის თავიანთ ხელ-მძღვანელ წრეებს, ეს კი ყოველივე ეჭვს გარეშეა.

საზღვრების დაცვა საქართველოსთვის უპირველეს საზრუნავ საგანს შეადგენს და ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მთავრობა თავის პოზიციებიდან არ დაიხევს და მტკიცედ და ენერგიულად განაგრძობს დაცვას. საქართველოს ჯარი ერთგულ დარაჯად დაუდგება საქართველოს.

სომხები, სხვათა შორის, უკმაყოფილონი არიან, რომ საქართველოს მთავრობამ სომხების დაუკითხავად გამოაქვეყნა საქართველოს საზღვრები. ამ უკმაყოფილებას ჩვენ ჩვენს უკმაყოფილებას დაუპირისპირებთ. სანამ ამნაირ შეკითხვაზე არსებითად გაგცემდეთ პასუხს, საჭიროა სომხებმა გვიპასუხოს რომ არა ყოფილა თქვენს პოლიტიკურ მოღვაწეობაში ისეთი მომენტი როდესაც თქვენ საქართველოს დაუკითხავად ანაწილებდით ტერიტორიას? რომ არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც თქვენ სხვებთან, იქნება გარეშე სახელმწიფოსთან, შეთანხმებითაც ანაწილებდით ქართველი ხალხის მიწა წყალს და იმდენი გამბედაობაც კი არა გქონდათ, რომ წინასწარ თქვენ მეზობელ ქართველებსაც დაჰკითხებოდით?

ჯერ ამაზე გვიპასუხეთ, და მერე ჩვენც ვიტყვით ჩვენს სიტყვას იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერი და საფუძვლიანია თქვენი უკანასკნელი საყვედური.

მეორე პრეტენზია სომხებისა ქონების გაყოფას შეეხება. ეს საკითხი რთული საკითხია, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საკითხი სახელმწიფოებრივ ნიადაგზე სდგას. მაგრამ ისეთი განაწილება ქონებისა, როგორც ეს სომხებს წარმოუდგენიათ, პირდაპირ სასაცილოა. საჭიროდ მიგვაჩნია ერთი შეკითხვა მივცეთ სომხებს: როდესაც ისინი ქონების განაწილებაზე ლაპარაკობენ, ხომ არ ავიწყდებათ რომ საქართველოში რჩებიან სომხებიც, რომლებიც, როგორც საქართველოს მოქალაქენი, თანასწორად უნდა ინაწილებდნენ საქართველოს მოქალაქეთა ყველა უფლებებსა და ვალდებულებებს? თუ სომხებს ჰგონიათ, რომ ქონების ერთს მესამედს სომხები წაიღებენ და საქართველოში დარჩენილი სომხები იმ ქონებაში დაიდებენ წილს, რომელიც ქართველების განკარგულებაში დარჩება? ჩვენ ეს ისეთს სასაცილო კომბინაციად მიგვაჩნია, რომ დიდხანს არც კი გვინდა მასზე შევჩერდეთ.

სანამ ქონების გაყოფაზე დაიწყებენ ლაპარაკს სომხები, უპირველესად ყოვლისა, მათ უნდა გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება რუსეთთან, გამოარკვიონ, რანაირ ვალდებულებას იღებენ იმ სამას მილიონ ვალში, რომელიც შენობის სახით აწევს ყოფილი ამიერკავკასიის რესპუბლიკას და საზოგადოდ გამოარკვიონ ბევრი რამ ისეთი, რაც ჯერ კიდევ მათ არ გამოურკვევიათ.

ჯერ სტრუქტურა და ფიზიონომია სომხეთისა არ ჩამოუყალიბებელა, ჯერ ხეირიანად არც კი ვიცით ჩამოყალიბდება საბოლოოდ სომხეთის დამოუკიდებლობა თუ არა და სომხები კი უკვე ქონების განაწილებაზე გვედავებიან ქონების განაწილებას ვალისა და ვალდებულებათა განაწილება უნდა მოჰყვეს. სანამ ეს არ მომხდარა, ჩვენ არ ვიცით, როგორ აპირებენ სომხები ქონების განაწილების მოწესრიგებას.

ჩვენ გვგონია რომ ორივე საკითხში სომხები უფრო მეტს სიხარბეს იჩენენ, ვიდრე პოლიტიკურ გონიერებასა და აზრს. ამნაირი სიხარბით კი არა გვგონია შესაძლებელი იყოს რთული პოლიტიკური და ფინანსიური საკითხების გადაწყვეტა.

სახელმწიფო ქონების განაწილება ავეჯის განაწილება არ არის და ჩვენ გვიკვირს რომ სომხის პოლიტიკური მოღვაწენი თავიანთ მოღვაწეობაში ამდენად დახურდავდნენ და დაწვრილმანდნენ.

არ. ჯაჯანაშვილი.

ქართული პრესა

გაზ. „ერთობა“ ეროვნულ საბჭოს უკანასკნელი სხდომების შესახებ სხვათა შორის სწერს:

ახალი საქართველო, საქართველო სოციალისტური, დემოკრატიული, განახლებული, საქართველო სასიცოცხლო ძალების მატარებელი ამ დღეს შეერთდა. ამ პარტიათა შორის თითქოს მოისპო განსხვავება საერთო საფრთხის წინაშე. სოციალისტ ფედერალისტის განცხადებანი ტაშს და მოწონებას იწვევდენ სოციალდემოკრატებში. სოც.-რევოლიუციონერები გულწრფელად აცხადებენ, რომ ისინი იცავენ აქ სოც.-დემოკრატიას, რომ იერიში მიტანილი მათ წინააღმდეგ, არის იერიში მთელი დემოკრატიის შესამუსრავად გამზადებული. ან როცა სოც.-ფედერალისტთა ერთი ორატორთაგანი აგონებდა ჩვენს ფრაქციას, რომ დროთა განმავლობაში იყო შემთხვევა, როცა სოც.-დემოკრატები სამხედრო საქმეში უკავშირდებოდნენ ნაციონ.-დემოკრატებს, ხოლო ამ უკანასკნელებმა კი ბოროტად გამოიყენეს ეს კავშირიო, სოციალდემოკრატიის ფრაქციიდან გაისმა ხმები: „მართალია“ შევცდით, რომ მათ ვენდეთ. ამ რიგად ამ თუნდ მცირე განცხადებაში იხატება ის საჭიროება მტკიცე დემოკრატიულ კავშირისა, რომელიც იხსნის დემოკრატიას, რეფორმებს და ხალხს.

და თუ ამ კამათმა შეადუღა ერთად დემოკრატიის რაზმები, მან დაგვანახვა აგრეთვე, რომ დემოკრატიის ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული დამოუკიდებელ საქართველოს ბედთან.

განჯის ამბები

ამიერკავკასიის დეპ. სააგენტოს მიერ ბაქოში გაგზავნილი სპეციალური კორესპონდენტი გზიდან იტყობინება:

ივნისის 14-ს განჯაში ოსმალოს ჯარი განაგრძობდა [illegible] და იარაღს ყრიდა სომეხ მცხოვრებლებს. სომხები, ნური-ფაშას წინადადებით, იარაღს აბარებდნენ საგანგებო კომისიას, ეროვნულ კომიტეტთან რომ არის შემდგარი. კომიტეტი კი თავის მხრივ ოსმალოებს აბარებს იარაღს. სომხების ეროვნული კომიტეტის სადგომის შესავალში ოსმალოების დროშაა აფრიალებული. ეს დროშა ოსმალო კაპიტანმა აფრიალა, რომელიც პირველი შევიდა განჯის სომხურ ნაწილში ასკერთა რაზმით. ქუჩებში ოსმალოების პატრულები დადიან. ნური-ფაშას ნებართვით ვინტოვკები მხოლოდ სომხების მილიციას დატოვეს, დღეს სომხების ქუჩებში გზირი დადიოდა ნური-ფაშას სახელით მოუწოდებდა სომხებს უშიშრად ეყავით და მუსულმანების ნაწილში ამოსვლა ნუ ეშინიანთო. სომხების ჯგუფმა ასკერების მცველებით თათრების ბაზარი ინახულა და მათივე მცველებით დაბრუნდა თავის ნაწილში. სომხების განწყობილება მძიმე და მღელვარეა.

ივნისის 15 ს კორესპონდენტმა შემდეგი გამოარკვია: ნური ფაშას ბრძანებით ოსმალოს ჯარმა არტილერიასთან ერთად ალყა შემოარტყა განჯის სომხურ ნაწილს მთაგორიანი მხრით. ეს სომხებისათვის მოულოდნელი იყო. სომხურის დამცველი კომ. უფროსმა უბრძანა სომხების ბატალიონს და ყველა შეიარაღებული ნაწილს საომრად მომზადებულიყვნენ. ნური-ფაშამ ულტიმატუმი გადასცა სომხების ეროვნულ კომიტეტს და მოითხოვდა ერთი დღის განმავლობაში გადაეცათ იარაღი. ეს ვადა კომიტეტის თხოვნით ჯერ რამდენიმე საათით გააგრძელეს, ხოლო შემდეგ ერთი დღით. მთელი ღამის განმავლობაში სომხების სახლებში დიდი მღელვარება იყო, პერიოდული სროლა სწარმოებდა. თათბირის შემდეგ სომხებმა დაადგინეს დელეგაცია გაეგზავნათ და დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ ბრძანება მართლა ოსმალოების მთავრობამ გამოსცა. დელეგატები ამაში დარწმუნდნენ და სახალხო მიტინგზე მოუწოდეს შეესრულებინათ ოსმალოების მოთხოვნა. სომხები, რომელნიც მოითხოვდნენ ბრძოლას ოსმალოებთან მთებში გაიქცნენ ვინტოვკებით შეიარაღებულნი: ზოგიერთ ადგილას მათ გაარღვიეს ოსმალოების ალყა.

ივნისის 18-ს დაიწყეს იარაღის ჩამორთმევა. ოსმალოებმა ფურგუნებით თათრების ნაწილში გადაიტანეს იარაღი. განჯა სავსეა ოსმალო ჯარისკაცებით და ოფიცრებით, რომელნიც არ სცნობენ მუსულმანთა კორპუსის რუს ოფიცრებს. მაღაზიებსა და კაფეებში ოსმალო ოფიცრები ნიკოლოზის ას მანეთიანებით იხდიან ფულს ან ქაღალდის ლირებით და თავის ფულს კი არაჩვეულებრივ კურსით აფასებენ—100 მანეთად, რაც რუსული მანეთის ეხლანდელი შეფასებით 8 კაპ. უდრის.

ივნისის 12-ს სროლის დროს ტრაგიკულად დაიღუპა გიმნაზიის დირექტორი ბოგოლეპოვი, რომელიც მისი სახლის კიბეზე მოკლეს მისი ცოლი სასიკვდილოდ დაჭრეს: ის რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ბოლშევიკები ქიურდამირში

ევლახი. ივნისის 14. ქიურდამირი ბაქოს ჯარმა აიღო. დღეს ევლახში ოსმალების ორმა ეშელონმა გაიარა. ისინი მიუსიუსლის სადგურთან შეაჩერეს. სამგზავრო მატარებლიდან ტფილისიდან რომ მოვიდა, მგზავრები გამორეკეს. მატარებელი ოსმალოების ეშელონმა დაიკავა და სასწრაფოდ გაემგზავრა აღმოსავლეთისაკენ. ქიურარსა და ქიურდამირთან მოსალოდნელია ბრძოლა.

საქარ. ეროვ. საბჭო

სექციების სხვა და სხვა წარმომადგენლების გარდა ილაპარაკეს ცალკე ორატორებმა, რის შემდეგაც, რადგანაც უკვე გვიან იყო, სხდომა შესწყდა მეორე დღემდის. კვირის კრებაზე, რომელზედაც თავმჯდომარეობდა ნ. ს. ჩხეიძე, ილაპარაკეს ფრაქციების კერძო წარმომადგენლებმა — აბაშიძემ (უპარტიო), ს. მდივანმა (ს. ფ.), ხ. ვ. მაჩაბელმა (ნ. დ.), ა. ახმეტელმა (რად. დემ.), დ. ჩიქოვანმა (რად. დემ.) და სხვ. კრება შესწყდა 4 საათზე და გაიხსნა 8 საათზე.

ილაპარაკეს მინისტრ-თავმჯდომარე ნ. რამიშვილმა და ფრაქციის წევრებმა — რ. გაბაშვილმა (ნ. დ.), ი. მაჭავარიანმა (ნ. დ.), შ. ქარუმიძემ (ნ. დ.), ა. პაპავამ (ს. ფ.), ს. დადიანმა (ს. ფ.), ნ. ნ. ჟორდანიამ (ს. დ.), რომელმაც დიდხანს ილაპარაკა ნაც.-დემ. პოლიტიკის და დეკლარაციის შესახებ, გ. ხათაძემ (ს. რ.) და ქ. ქავთარაძემ (ალიონელი). ყველა ორატორები, გარდა ნაც.-დემოკრატებისა, მხარს უჭერდნენ დეკლარაციას და მთავრობას.

ნ. ჟორდანიას წინადადებით კამათი შესწყდა და წაკითხულ იქმნა ს.-დ. ფრაქციის შემდეგი რეზოლიუცია: „იწონებს რა დეკლარაციას მთავრობისას და ყველა მოქმედებას, ნაციონალური საბჭო გადადის მორიგ საკითხზე“. ამის შემდეგ ნაც.-დემ. რეზოლიუცია უარჰყვეს.

შემდეგ ქ. ნ. აბაშიძე შეიტანს შემდეგ შეკითხვას: ადგილობრივ გაზეთებში იყო ცნობა, რომ ყოფილმა აზნაურებმა, რიცხვით 200 კაცამდე, გრაფ შულენბურგს მიართვეს პეტიცია, რომელშიაც სთხოვდნენ მას, იკისროს [illegible] და გაუქმებულ იქმნას დეკრეტი მიწის შესახებ. ყოფილმა აზნაურებმა შეკითხვა მთავრობისათვის—იცის თუ არა უკანასკნელმა ეს ცრუ ცნობა და თუ იცის, რა ზომები მიიღო გამოერკვია, ვინ არის ავტორი ამ საშინელი ცილისწამებისა. შეეკითხა თუ არა მთავრობა თვით გრაფ შულენბურგს ამ პეტიციის შესახებ და მიართვეს თუ არა მართლაც იგი ყოფილმა აზნაურებმა გრაფ შულენბურგს.

განმარტებას იძლევა ნ. რამიშვილი. იგი შეეკითხებია გრაფ შულენბურგს, რომელმაც სთქვა, რომ ასეთი პეტიცია მას არ მიუღია. რაც შეეხება იმას, თუ საიდან მოხვდა ეს ცნობა გაზეთებში, ამის შესახებ მინისტრ-თავმჯდომარემ არაფერი იცის. ქ. ნ. აბაშიძე დაკმაყოფილდა განმარტებით და კამათი შესწყდა.

ღამის 1 საათზე თავმჯდომარე ჰხურავს სხდომას და სთხოვს სხვა და სხვა კომისიის თავმჯდომარეთ—შეიკრიბონ თითო დარბაზში ორშაბათს, თიბათვის 17, კომისიების სამუშაოს მოსაწყობად.

ამიერკავკასიის ამბები

ტფილისი, ივნისის 17. დაწვრილებით გავიგეთ, რომ ხაზი სალოლის სადგურიდან ლიაკის სადგურამდე ოსმალოების ხელშია.

ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტომ ბაქოსაკენ საგანგებო კორესპონდენტი გაგზავნა. უკანასკნელი ლიაკის სადგურს ვერ გასცილდა და იქიდან შემდეგი ცნობები მოგვაწოდა:

საგირსა და კურარს შუა ბაქოდან ჯარი მოვიდა ჯავშნოსანი მატარებლით და რკინის ლიანდაგთან მდებარე ადგილები და პურის მოკრეფა დაიწყო. პურის ძნები ვაგონებში დატვირთეს და ბაქოსკენ გაისტუმრეს.

ბაქოს ჯარის ეშელონებში, წინა დღით საგირი რომ აიღეს, კურარისკენ წავიდნენ და ნაშუადღევის 2 საათზე სროლა აუტეხეს მაღალაშვილის რაზმის მოწინავე ნაწილს. მაღალაშვილის შტაბმა მისიუსლისკენ დაიხია. მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ ბაქოელებს აქვთ ერთი სამორტირო და ორი საველე ბატარეა.

ალდამშის მუსულმანების ერთმა ჯგუფმა გარეკა ადგილობრივი ეროვნული კომიტეტი.

ნაზიმ ფაშა არეშისა და გიოკჩაის მაზრებში გაემგზავრა.

განჯაში რკინის გზის ადმინისტრაციამ ცირკულიარული განკარგულება გამოსცა დაუყონებლივ შეადგინონ რკინის გზებზე მოსამსახურე მუსულმანების სია, რადგან ახლო მომავალში ადერბეიჯანის მუსულმან მცხოვრებთა მობილიზაცია გამოცხადდება.

განჯიდან მაღალაშვილის რაზმის გასაძლიერებლად ჯავშნოსანი მატარებელი გაიგზავნა და მოხალისეთა ეშელონი ორი ზარბაზნით.

სამგზავრო მატარებელი, ივნისის 12 ღამით რომ გამოვიდა, ქიურდამირამდე ვერ მივიდა და უჯარის სადგურიდან დაბრუნდა.

გერმანია და ინგლისი

ტფილისი, ივნისის 17. გერმანიის სამხედრო მისია ტფილისში გადმოგვცემს:

„ინგლისის პრესა აღიარებს, რომ საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს, მოსალოდნელია ძლიერი შეტევები და იერიშები. „დეილი ქრონიკლი“ სწერს, რომ გერმანელების წინ-სვლამ პარიზის საფრთხე საგრძნობლად გააძლიერა. გერმანიის რეზერვები 8 თვის ბრძოლის შემდეგაც იმდენია მაინც, რომ ისეთივე შეტევის წარმოება შეუძლიათ, როგორც მარტის 21-ს მოიტანეს.

იმპერატორ ვილჰელმის გამეფების 30 წლის იუბილეის დღეს ჰინდენბურგმა სიტყვით მიმართა. საპასუხო სიტყვაში ვილჰელმა სხვათა შორის სთქვა: „მიმდინარე ომში ორი მსოფლიომხედველობა ებრძვის ერთმანერთს: პრუსიულ-ნემეცურ-გერმანული, რომელსაც სწადიან დაიცვას სამართალი, თავისუფლება და ღირსება-პატივი და ანგლო-საქსური, რომელიც მხოლოდ ფულის თაყვანისცემას მოასწავებს. საკითხია დასმული გერმანული მსოფლიო-მხედველობის გამარჯვების შესახებ“.

სომეხი ლტოლვილები

კავკავი, ივნისის 15. სომხების ადგილობრივი ეროვნული კომიტეტი იტყობინება, რომ მიუხედავად არა ერთხელ მიმართულ თხოვნისა—ლტოლვილები არ გამოაგზავნოთო,—უკანასკნელები ათასობით მოილტვიან კავკავისკენ. ეს მოვლენა კატასტროფიული იქნება თვით ლტოლვილთათვის. ჩრდილოეთის ქალაქები გადაჭრით უარს ამბობენ მათ მიღებაზე. აუცილებლად უნდა ველოდეთ ექსცესებსა და სისხლის ღვრას. ლტოლვილები უბინოდ არიან, ცის-ქვეშ ატარებენ: მათში მრავლად გაჩნდა გადამდები სენი. სომხების ეროვნული კომიტეტი გრძნობს თავის უძლურებას, რადგან არ ძალუძს დახმარება აღმოუჩინოს ლტოლვილებს, და რადგან მას არ სურს პასუხისმგებლობა აილოს, ის უარს აცხადებს თავის ფუნქციებზე და პასუხისმგებლობას სომხების ცენტრალურ ორგანიზაციებს აკისრებს. ერთად-ერთი გამოსავალი—ეს ლტოლვილთა უკან დაბრუნებაა.

ომის დეპეშები

(დეპ. სააგენტო).

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი ივნისის 17. ოფიციალური

კრონპრინცის რუპრეხტის ლაშქარი: მზვერავთა გაცხოველებულ მოქმედებას ქვეითა ჯარის ბრძოლა მოჰყვა იპრის სამხრეთ-დასავლეთით და იპრის ორსავე ნაპირით ბრძოლა სადამოს გაძლიერდა.

გერმანელ კრონ-პრინცის ლაშქარი ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით არტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. რუსისა და მარნას შუა ადგილობრივ ხასიათის ბრძოლა გვქონდა, რომლის დროს 120 ტყვე ჩავიგდეთ ხელში. ზარბაზნების რიცხვი მონ-დიდიერსა და ნუაიონს შუა ჩავიგდეთ ხელში, 150-დან 300-მდე იმატა. მათ შორის დიდი კალიბრის ზარბაზნებიც არის. ტყვიისმფრქვეველთა“ რიცხვი 1000-ზე მეტია.

გენ. გალვიცის ლაშქარი: კალსა და მოზელს შუა ჩვენ ამერიკელებს დიდი ზიანი მივაყენეთ, როდესაც კსივრეის ორსავე ნაპირას შეუტიეთ და მათი პოზიციები გავანადგურეთ.

ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი. ჩვენი მზვერავები შეიჭრნენ ფრანგებისა და ამერიკელების თხრილებში ვოგეზებსა და ზუნდჰაუზში და რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს.

საჰაერო ბრძოლა: გუშინ ჩვენ მტრის 8 ჰაეროპლანი ჩავიგდეთ და 8 საჰაერო ბირთვი.

ბერლინი ივნისის 17. სადამოს ცნობა. მდგომარეობა უცვლელია.

გერმანიის რადიო სადგურიდან. ფრანგების შეტევა ივნისის 11-ს მოტანილი ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით, თავისი გაცხარებით და სისასტიკით ყველა აქამდე მოტანილ იერიშს აღემატებოდა. მიუხედავად ამისა გერმანელებმა არა თუ შესძლეს მათი გარეკა, არამედ თავის პოზიციების წინაც წაიწიეს. მტერი დიდად დაზარალდა. გერმანელებმა იერიში მიიტანეს კამბრესთან, სანტ-კვენტინსა და ლისთან ინგლისელებზე და ვიდრე ინგლისელების ჯარი მათ მიეშველებოდა. გერმანელების შეტევა უკვე დამთავრებული იყო თანახმად წინასწარ გაზრახულ გეგმისა. ფრანგების მოახლოვებისას რომ გერმანელებმა შეაჩერეს შეტევა, ზოგიერთებზე ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს გერმანელები უძლური გამოდგნენ განეგრძოთ შეტევა. 27 მაისის შეტევა მოულოდნელი იყო ფრანგებისა და ინგლისელებისათვის: აქ ისინი თავისი დამარცხების გასამართლებლად გერმანელების შეტევის მოულოდნელობა და გერმანელთა ძალების უპირატესობაზე ლაპარაკობენ. მაგრამ ივნისის 9-საც დამარცხდნენ ფრანგები და ისეც ისეთ პირობებში, რომელიც სრულებით არ იყო გერმანელებისათვის. ეს იერიში მათთვის მოულოდნელი არ იყო. ფრონტზე ინგლისელებმა და ფრანგებმა 8 დივიზია დაჰკარგეს.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი ივნისის 17. ორივე მხრით საარტილერიო მოქმედება, ჩვენმა მძიმე არტილერიამ სროლა აუტეხა მტრის ბანაკს იორდანეს ხიდისი აგრესთან, სროლა აუტეხა აგრეთვე დაბა ერიხოს, რომელიც ინგლისელების ჯარითა და საწყობებით არის სავსე. ჩვენმა პატრულებმა, რომელიც ოფიცრებისაგან შესდგება, იერიში მიიტანეს იორდანეს სანაპიროზე და რამდენიმე კაცი დაატყვევეს, სხვა ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

ბრძოლა ბორჩალოში

15 ივნისის ცნობა.

მდინარე ხრამთან დიდი ბრძოლის შემდეგ თავისუფლად წუხელ და დღეს დილით მთელი ჩვენი და გერმანელების ჯარი სად. სანაინში მოვგროვდა. აქ თათრებს ტელეფონი გამართული დაუჩენიათ და გამოირკვა, რომ ჩვენს წინააღმდეგ რეგულიარული ჯარი მოქმედობდა. დავიჭირეთ მოხსენება თათრის შტაბის მიერ, სადაც ნათქვამი იყო: „მდინარე ხრამთან სასტიკად დავმარცხდით. ასი დაჭრილი და მრავალი მკვდარი გვყავს. უკან ვიხევთ“-ო. ამასთან თათრის შტაბი უბრძანებდა თავისი მე 11 პოლკის უფროსს: გაგზავნე ცხენოსნები დაზვერონ თუ რა დიდი ძალებით მოდიან ქართველებიო“. გზა და გზა ვიჭერდით პატარ პატარა ჯგუფს ასკერებისას იარაღს ვყრიდით და ვატყვევებდით.

აქვე ჩვენი უფროსს გამოელაპარაკა თათრის შტაბს. შტაბმა ითხოვა 3 დღე მაცალეთ, რომ საქართველოს ტერიტორია დავცალოო. წინააღმდეგ შემთხვევაში ხიდებს აგიყრითო. ჩვენი პასუხი იყო: თუ ხიდები აგიყრიათ, 50 ასკერი და 8 ოფიცერი, რომელიც ჩვენ ტყვედ გვყავს დახვრეტილი იქნებაო. გერმანელმა მაიორმა განაცხადა „ქართველი ხალხი ძლიერ აღშფოთებულია, რომ თქვენი რეგულიარული ჯარი იბრძვის მათ საწინააღმდეგოთო. მათ პროტესტს უერთებთ ჩვენ პროტესტს და წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ დასცალოთ საქართველოს ტერიტორიაო. ამასთან გაცნობებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მატარებლებზე ჩვენი ბაირაღი იყო ამართული, თქვენმა ასკერებმა ტყვია მაინც მოგვაყარესო“. საპასუხოთ ვადა დღის პირველ საათამდის მისცეს. პირველ საათზე თათრებმა განაცხადეს ჩვენი წასვლა საქართველოს ტერიტორიიდან ყოვლად შეუძლებელია, თუ ერთი დღე მაინც არ მოგვეცითო. ამის შემდეგ გერმანელების ერთი ეშელონი, ჩვენი ზარბაზნები და ბრონევიკი წინ წავედით, მაგრამ სანაინიდან 10 ვერსის მანძილზე პატარა ბოგირი აეყრიათ, რომელსაც ჩვენ კეთება დაუწყეთ. შეიძლება დილამდის ვერ გავასწოროთ.

ახალი ამბავი

◆ **ბონების გამოცემა.** დღეს, ივნისის 19 ს, სასახლეში შესდგება მთავრობის სხდომა, ბონების გამოცემის შესახებ. სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ: მაჰმადიანთა და სომეხთა ეროვნულ საბჭოების წევრები და ფინანსთა მინისტრი.

◆ **ფინანსთა მინისტრი.** უკანასკნელ სხდომაზე ერ.-დემოკრატების გამოლაშქრების გამო, ფინანსთა მინისტრმა გ. ჟურულმა მინისტრობიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა, მთავრობამ თხოვნა არ შეიწყნარა.

◆ **ბერძენთა კომიტეტმა** საქართველოს მთავრობას თხოვნით მიმართა: ბერძენთა პოლკის მოსამსახურების დასაკმაყოფილებლად ფული მოგვეციოთ.

◆ **ს. ხალხთ განათლების სამინისტრომ** შუამდგომლობა აღძრა მიეცეს მას 37,620 მან. ქუთაისის გუბ. საეკლესიო სასწავლებლის მასწავლებლების დასაკმაყოფილებლად და მათი დღიური ფულისათვის 75,000 მან.

◆ **სახაზინო ზედამხედველად** დაინიშნა მგოსანი ს. აბაშელი.

◆ **ადერბეიჯანის რესპუბლიკის** მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აცნობა, რომ განჯაში გადადის მაჰმადიანთა კორპუსი და ბარგის საწყობი.

◆ **თავის მოკვლა.** ივნისის 17 ს, სომხის ცხენოსანთა პოლკის პრაპორ. სურენ ახატიანცმა არსენალის ქუჩაზე თავის მოკვლის განზრახვით რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა.

◆ **ს. [illegible], ხამ. დადიანის და აკ. პაპავას სიტყვები** ეროვნულ საბჭოს უკანასკნელ სხდომებზე წარმოთქმული ცალკენდელ ნომერში დაიბეჭდება.

◆ **ყაზახები ბოლშევიკების წინააღმდეგ** ყაზახების მოძრაობა დონის ოლქში ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ძლიერდება. გენ. კრასნოვის ჯარი ცარიცინს უახლოვდება.

◆ **ბულგარეთის მთავრობის გადადგომა.** მინისტრ პრეზიდენტმა რადოსლავოვმა ითხოვა მიართვა მეფეს მოხსენება თავის კაბინეტის გადადგომის შესახებ. მეფემ შეიწყნარა ეს თხოვნა და სთხოვა მინისტრებს განაგრძონ კაბინეტში მუშაობა, ვიდრე ახალი მთავრობა შესდგებოდეს.

◆ **ზაქათალში** ივნისის 8-ს მაჰმადიანთა ყრილობამ გააუქმა: სამართველო, სამკითხლო და საქციზო დაწესებულებანი და სამეურნეო პუნქტი. სასწავლებლები დახურული. ყრილობაზე უწყებების წარმომადგენლები არ იყვნენ გაუქმებულ დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის სალიკვიდაციო ფული არ მიუციათ.

◆ **დაწესებულებათა ლიკვიდაცია.** შრომის სამინისტრომ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების შემცირების გამო, მთავრობას სთხოვა დათხოვნილ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად სალიკვიდაციო ფული მიეცეს. პროექტში გატარებულია ის აზრი, რომ თუმცა სალიკვიდაციო ფულის ნორმა არ არის დადგენილი საქართველოს ეროვნულ საბჭოსაგან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ფული არ უნდა იყოს [illegible] და დროზე მიეცეს დათხოვნილ მოსამსახურეებს, და დაცულ იქმნას მათი ინტერესები. ამ პროექტის განხილვა ამ დღეებში მოხდება, მთავრობის მიერ, დამტკიცების შემდეგ.

◆ **ვ. გამყრელიძის იუბილე** გაიმართა 16 ივნისს საქართველოს სახელმწიფო თეატრში. დასდგეს აკაკის „პატარა კახის“ ერთი მოქმედება, სადაც იუბილიარი გელას როლს თამაშობდა. შემდეგ დასდგეს „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და „არივ დარია“ მეორე და მესამე აქტის შუა იუბილიარს მიულოცეს: შალვა დადიანმა, კ. ყიფიანმა, აკ. ფალავამ, ალ. წუწუნავამ. იუბილიარს მიართვეს სხვა და სხვა დაწესებულებებმა მცირე წვლილი.

◆ [illegible] საავადმყოფოებში თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის [illegible] შემდეგი გადასახადი არის დაწესებული: საერთო ოთახში თვითეული ავადმყოფი წინ და წინ იხდის 60 მანეთს; ავადმყოფს ეს ფული არ დაუბრუნდება, ხოლო დღეზე ადრეც რომ გამოეწეროს იქიდან. ცალკე ოთახი, დღიურად ერთი თუმანი ღირს.

◆ **ნინო ჩხეიძის გასტროლი.** ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი სახელმწიფო თეატრში გამართავს წარმოდგენებს, დამსახურებულ მსახიობ-ქალის ნინო ჩხეიძის მონაწილეობით, ივნისის 24, 26 და 28 (ახ. სტ.) წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ორიგინალური პიესა „სულელი“, რომელიც ქუთაისში თორმეტჯერ იქნა წარმოდგენილი და ა. დიუმას სახელგანთქმული დრამა „მარგარიტა გოტიე“.

◆ **კულტურის და შრომის კავშირის** პირველი საჯარო კრება გაიმართება კვირას, თიბათვის 23-ს, ქართულ საკრებულოს დარბაზში, შუადღის 12 ს. მოხსენებებს წაიკითხავენ: 1, ალ. ასათიანი: „შრომა და მისი მნიშვნელობა ეროვნულ შემოქმედებისათვის“ და 2, გ. თ. ჟორდანია: „ჩვენი აწმყო და მომავალი პრაქტიკული საქმიანობა“. კრებაზე დასწრების უფლება ყველასა აქვს.

◆ **„თეატრი და ცხოვრება“.** რედაქციამ მიიღო „თეატრისა და ცხოვრების“ მორიგი № 9. ჟურნალშია მოთავსებული მრავალი სურათები პოლიტიკური და სათეატრო მოღვაწეებისა.

◆ **დღეს,** შუადღის 12 საათზე, „ჯეჯილის“ რედაქციის ბინაზე (არტილერიის ქუჩა № 5) დანიშნულია საბავშვო ლიტერატურის კომისიის კრება.

◆ **რუსთა ეროვნული საბჭო.** ამ დღეებში განკარგულება იყო, რომ რუსთა ეროვნულ საბჭოს გადაეცა მიწათ-მოქმედების მინისტრისათვის სრულიად რუსეთის სამეურნეო აღწერის სტატისტიკური ცნობები. ამის გამო რუსთა ეროვნულმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ეს ცნობები ცენტრალურ ბიუროს გადასცენ, საბოლოოდ ამ ცნობების წესრიგში გადაყვანად, მით უმეტეს, რომ ამისთვის ფული გადასდო არა ამიერკავკასიის და საქართველოს მთავრობამ, არამედ სახალხო კომისარობის საბჭომ.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს აგრარულ კომისიაში** წარდგენილ იქმნა კანონ პროექტი ქალაქგარეშე მდებარე ზოგიერთი ადგილ-მამულის ყიდვა გაყიდვის აკრძალვის მოხსნის შესახებ.

◆ **ტფილისის მუშ. და ჯ.-კ. საბჭოსთან** კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების თხოვნით იხსნება ცალკე სექცია ამიერკავკასიის 1917 წლის რევოლიუციის შესასწავლად.

სოფლად და ქალაქად

მოწამეთი.

◆ 24 მაისს ძველი სტილით სოფ. მოწამეთაში გასტეხეს მოწამეთის მონასტერი წაიღეს ბეჭდები და ძვირფასი ნივთები. ამ საქმისათვის დაპატიმრეს გ. კაპანაძე, რომელსაც მოპარული ნივთები აღმოუჩნდა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, 19 თიბათვეს, პარტიულ საკრებულოს დარბაზში შესდგება მორიგი კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. დ. უზნაძე მომენტის შესახებ. შემდეგ კამათი. დასაწყისი სად. 7 საათზე.

ხუთშაბათს, 20 თიბათვეს დანიშნულია მუშათა კავშირის განყოფილების კრება, მეტად სასწრაფო საკითხთა გამოსარკვევად. ყველა წევრის დასწრება აუცილებელია. ბინა: პარტიული საკრებულო, დას. საღ. 6 საათზე.

ქალაქის საბჭო

ივნისის 17.

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

განსახილველია მრავალი წვრილმანი საკითხი, რომლებიც მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა. რუს სოციალისტ რევოლიუციონერთა ფრთას და კადეტებს რაღაც მღელვარება ეტყობოდათ. ქანდარაზედაც გარეშე ხალხი მრავლად ჩანდა, სჭარბობდნენ რუსი მოხელეები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

ქალაქის თავი ნ. ელიავა კითხულობს მოხსენებას ქალაქის წყალსადენზე. მეტისმეტ სიძვირის გამო წყალსადენმა 800 ათასი მანეთის დეფიციტი მოგვცა ამ წელს, ქალაქის სამართველომ ყველაფერი იღონა დეფიციტის შესამცირებლად, მაგრამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. ქალაქს ორმოცდაექვსი მეონკანის შენახვა უჯდება 170.000 მ., შემოსავალი კი 87.000 მ. აქვსო. შეიძლებოდა ეს ხარჯი მეონკანების შესახებ შეგვემცირებინა ქუჩებში ონკანების მოსპობით, მაგრამ ამით 46 კაც ქუჩაში გადავისროდით და ამასთანავე ხელმოკლე ხალხს წყლით იაფად სარგებლობას მოვუსპობდით. უფრო შესაძლებელია წყალს ფასი ავუწიოთ და ვედრაზე ნახევარი კაპიკი გადასახადი დავაწესოთ.

ხანდანოვი თავის პათეტიურს და პათოსით წარმოთქმულს სიტყვაში ჰკიცხავს დემოკრატიულ-რევოლიუციონურ საბჭოს და სურს მალე დააყენოს შარშანდელი ბურჟუაზიული საბჭო. ის ურჩევდა არავითარი ყურადღება არ მიექციათ, თუ რა მოუვიდოდათ 46 მეონკანეს, ამასთანავე წყლის ფასის გადიდებას მოითხოვდა 50 პროცენტით. ქალაქის თავმა ნ. ელიავამ გააბათილა ყველა მოსაზრება ხანდანოვისა.

მიღებულ იქნა ნიკ. ელიავას წინადადება წყალზე ფასის ერთი ორად გადიდებისა.

მიღებულ იქნა აგრეთვე წინადადება სამხედრო საკრებულოს მოსამსახურეთა შტატის 14-დან 6-მდე ჩამოყვანისა და სამხედრო საქმეების სამხედრო უფროსის ხელში გადასვლაზე, რისთვისაც უნდა აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

საკითხმა მილიციის უფროს მოხელეთა ქალ. საბჭოს მიერ არჩევის შესახებ გამოიწვია დიდი კამათი. ხმოსანმა ხუდადოვმა ხელზე დაიხვია ერთი მილიციონერის უწესრიგო საქციელი და ამას მისცა პოლიტიკური ხასიათი; ქუჩური სააგიტაციო სიტყვების ხმარებით ახმაურა ქანდარაზე მყოფნი და რამდენჯერმე მხურვალე ტაში გამოიწვია. ქართველების მოქმედებაში დაინახა რუსოფობა და ამას შიაწყრა „ზნაჰია ტრუდასი" და „ტრუდოვოე ზნამია" მიკეტაცა. მის სიტყვას ძლიერ გამოეხმაურენ კადეტები.

ესერმა ხუდადოვმა არ მიაქცია არავითარი ყურადღება თავმჯდომარის რამდენჯერმე გაფრთხილებას და კონტრაბანდის საშუალებით არსებითი ლაპარაკიდან პოლიტიკურს ხასიათზე გადადიოდა. გაილაშქრა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და ლანძღვა დაუწყო საქართველოში გაბატონებულ პარტიას. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და კრება ინციდენტით დამთავრდა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და სომხური პრესა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ „მშაკის" აზრი კვირის ნომერში გვქონდა მოყვანილი. ახლა მოვუსმინოთ „ჰორიზონსაც":

„აქამდის ამიერკავკასიის საზღვრების გადამიჯვნის გამო დავა მხოლოდ სომხებსა და თათრებს შუა იყო. სომხეთ საქართველოს საზღვრის შესახებ უთანხმოება არ ყოფილა. სომხები ყოველგან ვაცხადებდით, რომ ჩვენ ეთნოგრაფიულ პრინციპს ვადგევართ და სომხების მიერ დასახლებული საქართველოს მოსაზღვრე ახალქალაქ ბორჩალოს მაზრების სომხეთის ნაწილად ვთვლით. ქართველებს ესმოდათ ეს განცხადება და დუმილით გვეთანხმებოდნენ. განსაკუთრებით მენშევიკებს მიაჩნდათ სამართლიანად სომხური შეხედულება ამის შესახებ და სრულებით იზიარებდნენ მას. გვეგონა რომ დღეს, როცა მართლა დადგა დრო ამიერკავკასიიდან რამოდენიმე ტერიტორია გამოსაჭრელად, მენშევიკების მხრივ მაინც არ უნდა ყოფილიყო დაბრკოლებანი ეთნოგრაფიული პრინციპის ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ. გვეგონა, რომ მოღვაწეები, რომელთაც ჯერ კიდევ ოფიციალურად უარი არ უთქვამთ სოციალისტობაზე, ეცდებოდნენ ისეთი ყოფა-ცხოვრების პირობა შეექმნათ ამიერკავკასიაში, რომ ეროვნული შუღლი რაც შეიძლება განელებულიყო. მაგრამ...

მაგრამ ისა რომ, როგორც ყველა საკითხში, ეროვნულ საკითხშიაც ქართველი მენშევიკები სისტემატიურად თვითუარყოფის პოლიტიკას აწარმოებენ. როგორც ჩანს, მათ თავი დაუნებებიათ გუშინდელი აზრისა და შეხედულებისათვის და დღეს ახალი სიმღერა წამოუწყიათ. მაგალითი გნებავთ? რამოდენიმე დღის წინად საზღვრების გასამიჯნავად მოწვეულ სომეხ ქართველთაგან შემდგარ კომისიაში ქართველი მენშევიკების მეთაურმა ირაკლი წერეთელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ისინი დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილად სთვლიან ყაზახისა და ბორჩალოს მაზრებს და ერთ ნაწილს ალექსანდროპოლისას, ესე იგი დილიჯნიდან დაწყებული ლორემდი მდებარე სომხებით მიერ დასახლებულ მიწა-წყალს. 12 ივნისს კი საქართველოს მთავრობამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ საქართველოს საზღვრებია აღმოსავლეთით ფოილოს სადგური, ხოლო სამხრეთით—ყარაქილისისა და შაჰალის სადგურს შორის გაყვანილი გვირაბი შუამდისო. იმავე დღეს საქართველოს მთავრობამ საზოგადოების საყურადღებოდ ცნობა გამოაქვეყნა, რომ მას მოწვეული ჰყავს გერმანელი ჯარები საქართველოს საზღვრების დასაცავად.

ამგვარად გამოდის, რომ საქართველოს რესპუბლიკას, მეზობელ ერთა აზრის დაუკითხავად და დასტურის მიუღებლად, გადაუწყვეტია და გამოუცხადებია თავისი სახელმწიფო საზღვრები და არც დაუყოვნებია გარეშე სამხედრო ძალის მოყვანა ამ საზღვრების დასაცავად. დასაცავად, მაგრამ ვის წინააღმდეგ?—რასაკვირველია მისი მეზობლებისა.

კარგი კია ვიცოდეთ, თუ რითი ასაბუთებენ საზღვრების ამგვარად გაყვანას. ნეტავ რატომ ყარაქილისამდის და არა ერევნამდის? კარგს არ იზამდენ ქართველი დემოკრატიის მეთაურები, რომ აეხსნათ ჩვენთვის, თუ რა მიზნით უნდათ მოჰკვეთონ სომხეთს ვეებერთელა ნაჭერი და თავის ქვეყანას შეუერთონ? განა ეს ყველაზე უფრო მოუხეშავი გვარის იმპერიალიზმი არ არის? მართლაც და აბა რა საბუთია ის საბუთი, წერეთელმა რომ მოიყვანა, ვითომც თვით სომხების ინტერესი მოითხოვდეს, რომ ყაზახი, ბორჩალო და ლორე საქართველოს შეუერთდეს? ნეტავი სანამ ასეთ დასკვნამდე მივიდოდა, შეეცადა თუ არა წერეთელი, რომ სომხების აზრიც გაეგო? წერეთელი და მისი ამხანაგები ნეტა ე მაინც თუ ჰფიქრობენ რომ სომხის დემოკრატია ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ ასე უსამართლოდ ეპყრობიან მას სოციალისტის სახელის მატარებელი ადამიანები?..

ცუდად იწყებენ ქართველი მენშევიკები დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებას. მათი პირველი ნაბიჯია უდიერი უსამართლობა მეზობლების მიმართ. სომხის დემოკრატია მართალი იქნება, თუ ამ ნაბიჯს ახსნის ისე, როგორც ძალადობას, რომელსაც სჩადიან მის წინააღმდეგ გარედან მოსული ხიშტების დახმარების მოიმედე ქართველი მენშევიკები. განა შესაძლებელია, რომ ხიშტების შემწეობით (და ისიც უცხოეთიდან მოსული ხიშტების წყალობით) სამართლიანობის დამყარება დედამიწაზე?

ცუდი პოლიტიკური პირობების წყალობით სომხის ერი მეტის მეტად მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მისი მიწა-წყლის საუკეთესო ნაწილები ოსმალეთმა მოჰგლიჯა. იგი მოიკუნჩა გადამხმარ მთებსა და ღრეებში. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ დროს მისი მეზობლები განსაკუთრებული სინაზით მოეპყრობოდენ მას და დათმობის გზას დაადგებოდენ. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ამის წინააღმდეგსა ვხედავთ. ერთის მხრით ადერბეიჯანი მოთხოვნილებებს გვიყენებს, მეორეს მხრით, სრულებით მოულოდნელად, საქართველომ აგრესიულ-იმპერიალისტური პროექტი გამოატყვრინა. ჩვენ ვეკითხებით წერეთელსა და საქართველოს მთავრობის კაცებს: თუ თქვენ სომხეთს ყაზახსა, ბორჩალოსა და ლორეს ჩამოჰგლეჯთ, რა უნდა დარჩეს სომხეთს? განა შესაძლებელი იქმნება ამ პაწაწკინტელა ტერიტორიაზე სახელმწიფოს მოწყობა? თუ თქვენს სრულებითაც არა ჰფიქრობთ სომხეთის არსებობაზე? თქვენა გგონიათ განა, რომ ჯან-საღ ერებს შეუძლიათ ცოცხლივ ჩავიდნენ საფლავში?..

ჩვენთვის ერთი რამ ცხადია. სომხის დემოკრატია ვერასოდეს ვერ შეურიგდება ძალადობასა და უსამართლობას, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, გარეშე მტრისაგან, თუ სოციალისტ-იმპერიალისტისაგან. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ წერეთლები რომ სახიფათო გზას დასდგომიან, იმ გზას ამიერკავკასია სამუდამო არევ-დარევისა და ანარქიისაკენ მიჰყავს. უკეთუ მენშევიკების მიზანია ამ არეულ-დარეულობის თანდათან გაძლიერება, უეჭველია, მათ მიერ შეთვისებული სამოქმედო გეგმის წყალობით, ისინი სრულებით მიაღწევენ მათ მიზანს".

იგივე გაზეთი ეხება „ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა გაყოფის" საკითხს და ამბობს:

„როგორც უკვე ვწერდით, შესდგა სომეხთა, ქართველთა და ადერბეიჯანის ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენელთაგან სალიკვიდაციო კომისია, ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა და ქონებათა გასანაწილებლად სამ ეროვნებას შორის. ამ კომისიის უკანასკნელ სხდომაზე ქართველთა წარმომადგენელმა მენშევიკმა არსენიძემ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა საქართველოს მიწა-წყალზე მყოფ ყოველგვარ დაწესებულებას ქართველთა კუთვნილებად თვლისო და საჭიროდ არა ცნობს მათ გამოყოფასო. კომისიას ჯერ-ჯერობით ფაქტიურად არა გაუკეთებია რა, რადგანაც ქართველთა წარმომადგენლები სრულებით იმის გუნებაზე არ არიან, რომ სხვების მოთხოვნილებაზე დაჰყაბულდენ.

12 ივნისს სხდომა ჰქონდა სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკათა შორის საზღვრების გამყვან კომისიას, შემდგარ ქართ. და სომხ. ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენელთაგან. ქართველთა მხრით მენშევიკმა წერეთელმა განაცხადა, რომ ისინი საქართველოს მიწა-წყლად თვლიან ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს, აგრეთვე ლორესა და ალექსანდროპოლის მაზრის ერთ ნაწილს. ქართველები მოითხოვენ, რომ ეს მიწა-წყალი საქართველოს შეუერთდეს. მოლაპარაკებამ ვერაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო".

საორშაბათო „ლრაძერიც" არ სტოვებს უყურადღებოდ ამ საკითხს და სწერს:

„ამას წინად თვით საქართველოს მთავრობა იტყობინებოდა, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოებმა ურთიერთ შორის გამიჯვნის საქმე თვითონ უნდა მოაგვარონ, გარეშე ძალ-ფაქტორთა ჩაურევლადო. მაგრამ ასეთი სამართლიანობის ავტორი თვითონ როგორ-ღა იქცევა? თავისი ცალ-მხრივი გადაწყვეტილებით, სხვა დაინტერესებულ ერთა მთავრობასთან წინდაწინ შეუთანხმებლად, იმას დაუდგენია: ესა და ეს მიწა-წყალი საქართველოს ეკუთვნისო და გერმანულ სამხედრო ძალის საქმეში ჩარევისათვის მიუმართავს.

არა გვგონია, საკმარისი იყოს საქართველოს მთავრობის მიერ ამა თუ იმ ქალაქისა თუ მაზრის თავის საკუთრებად გამოცხადება, რომ გერმანიის ჯარი ხაზინვე გაეშუროს ამ „საზღვრების" დასაცავად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანიის მისია გონივრულად და სამართლიანობისა და ჭეშმარიტების თანახმად მოიქცევა ამიერკავკასიაში. ის შეასრულებს თავის თავზე ნაკისრებ მოვალეობას საქართველოს მიმართ (უკეთუ ასეთი მოვალეობა უკისრია), მაგრამ ძალადობას და უსამართლობას არ ჩაიდენს სხვა ერთა და სახელმწიფოთა მიმართ. გერმანიის ჯარი მოვიდა საქართველოს დასაცავად და არა ახალი ადგილების დასაპყრობად ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოებში.

უკეთუ საქართველოს მთავრობა ვერა ჰხედავს მეზობელ სახელმწიფოებთან შესათანხმებელ გზას და თავისი ცალმხრივი დადგენილებით ჰსურს ძალად ამგვარი საკითხების გადაწყვეტა,—უცხო ძალის დახმარების იმედით,—დაე ნუ გაუკვირდება და ნუ იწყენს, თუ სხვებმაც მიჰმართონ გერმანიას, რათა ჯერ გამოარკვიოს: რომელია საქართველოს ნამდვილი საზღვარი და შემდეგ შეუდგეს დაცვას.

თვით საქართველოს მთავრობა ეპატიჟება უცხო ძალებს საქმეში ჩასარევად, მაშინ როდესაც სწორედ თვითონ იყო პროტესტს რომ აცხადებდა ამას წინააღმდეგ, როცა ჯერ კიდევ უადგილო იყო ასეთი პროტესტი.

ისღა დაგვრჩენია, რომ ამიერ კავკასიის ერებმა სამართლიანობა მონარქიულ-იმპერიალისტური მთავრობის წარმომადგენელთან იძიონ, იმ მთავრობის ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც თავს დემოკრატად აცხადებს და რომელშიაც ბატონობს ისეთი ელემენტი, რომელსაც თავი სოციალ-დემოკრატად მოაქვს. განვითარებული და კულტურული მონარქია და იმპერიალიზმი უფრო პროგრესიული მოვლენაა, ვიდრე ჩამორჩენილი და ნახევრად უკულტურო ქვეყნის ცარიელ-ტარიელი დემოკრატიზმი და სოციალიზმი.

სომხის ერი უნდა ფრთხილად იყოს და სდარაჯობდეს თავის პაწია და ლატაკურ ხვედრს, რომელიც თითქო არაფერიაო, მაგრამ სხვებს მადას უღვიძებს.

ზოგი-რამ

შენი სახლის შურმა შემჭამაო, ებრაული თქმა არის და ღვთის რჩეული ერის სიბრძნე იგი არასოდეს არავისზე ისე ზედ გამოჭრილი არ ყოფილა, როგორც საქართველოზე. ეხლა, როცა გუშინდელი მონები დღეს თავისუფალი ვართ და ვინც პოლიტიკურ კულტურულად და ეკონომიურად გვჩაგვრავდა, ფეხ ქვეშ გამოეცალა ნიადაგი ბატონობისა და რაკი ვერაფერს გაჰხდნენ, ჯერ ბოლშევიკების შემოსევას ეტრფოდნენ, რომ კვლავ მათი შემწეობით აღედგინათ დაკარგული ბატონობა, ხოლო ეხლა პროვოკაციას ეწევიან, გერმანიას სულაც არ უცვნია საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობაო. რასაკვირველია, ჭორები იგი განზრახ შეთხზულია ჩვენი შინაური მტრებისაგან, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას სახელი გაუტეხონ, ნდობა დაუკარგონ და საზოგადოებაში უწესოება დაჰბადონ, ბოლშევიკების მუქარა დასრულდა მათი საბოლოო დამარცხებით დარიალის ხეობაში, ასე რომ მათ მთავრობას ეხლა არათუ აღარ სცალია ჩვენდა შეტევისათვის, პირიქით შავი დღე დასდგომია გერმანელთა ულტიმატუმისაგან, რომელიც ემუქრება მოსკოვში ძლიერი რაზმის შეყვანას წესიერების აღსადგენად და ველიკოროსიის თითქმის ოკუპაციისა. რაც შეეხება გერმანიის და საქართველოს ურთიერთობას, გერმანელთა და საქართველოს რესპუბლიკის ჯარების აღლუმა საკმაოდ ცხად ჰყო სიყალბე იმ ხმებისა. არა თუ გერმანიამ, არამედ მართლად ოთხთა სახელმწიფოთა კოალიციამ იცნო დამოუკიდებლობა საქართველოს რესპუბლიკისა, რომელიც, მიწვეულია კონსტანტინეს ქალაქში მონაწილეობის მისაღებად კონფერენციაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების საქმეთათვის. კერძოდ კიდევ გერმანიის ჯარი დაიფარა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ რესპუბლიკის საზღვრების დასაცავად.

მაგრამ ჩვენს მტრებს ასხიან ყურნი არა სმენად და თვალნი არა ხედვად, განსაკუთრებით ეს ითქმის ქალაქის გამგეობისთვის; ყოველ შემთხვევას ეძებენ ნაძირალი ელემენტები მის ზღუდეთაშორის, რომ საქირდველად გაჰხადონ საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველი ერის სუვერენიტეტი და ხმაურობით პროტესტიც განაცხადონ, თუ ვინმე ხმოსანმა სხდომის დროს სიტყვა ქართულად წარმოსთქვა. ატეხილებს ავიწყდებათ, რომ ლონდონი ებრაელებით სავსეა, მაგრამ ინგლისელთ ერის და ენის სუვერენიტეტი ინგლისის ყოველ სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში პატივცემულია; ავიწყდებათ აგრეთვე, რომ აწინდელი ქალაქის მამები არჩეულია თითქმის რუსის ჯარის და შემოხიზნულებისა, რომელთაგანაც ამჟამად დედაქალაქი გაწმენდილია და მათ ხელახლა ასარჩევად საჭირო იქმნება ჯერ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობის საკითხის გამორკვევა, ხოლო შემდეგ ქართველი ჯარი თუმანოვ-სემენოვისთანა ხმოსნებს აღარ აირჩევს.

იმ დროს, როცა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოებრივი ხელთუფლება და წითელი გვარდია სრულებით გადასცეს მართებლობას მტკიცე და ძლიერი მთავრობის შესაქმნელად, ქალაქის გამგეობამ თავისი სახიფათო პოზიცია თუ არ გამოიცვალა და კართაგენობა განაგრძო, მის მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ ვსთქვათ, „სიმილემ მუნიციპალიტატემ დელენდამ ესსე" (ამ გვარი თვითმართველობა უნდა მოსპობილ იქმნას).

უეჭველია, როგორც დავსდევით ხელშეკრულობა ოსმალეთთან, ისეთივე ხელშეკრულობის დადება მოგვიხდება ადერბეიჯანთან და სომხეთთან. ადერბეიჯანელ მოღვაწეთა მისწრაფება მაჰმადიან ქართველობაში რომ პანთურქიზმით იყო აღბეჭდილი, იმდენად ცხადია, რომ აქ აღარ გავიმეორებთ იმ ფაქტებს, რომელიც ამ გაზეთში არა ერთი აღუნიშნიათ საკითხის გასაშუქებლად. ამისთვის ხელშეკრულებაში უეჭველად უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიან ქართველთა შორის პანთურქიზმის პროპაგანდა შეუწყნარებელია საქართველოს რესპუბლიკაში.

პანარმენიზმიც არა ნაკლებ გვაბრკოლდება საზოგადოებრივ განვითარებასა. ხსენებული მოძღვრების მქადაგებელი სომხის აზნაურები უცნაურ ლოგიკას ადგანან. ვინც გრიგორიანია, ყველა სომეხიაო, გაიძახიან და ძველი რეჟიმის მფარველობით ყოველთვის წადმა მიუდიოდათ საქმე ქართველთა გასასომხებლად, არავითარი საბუთი მათზე არ მოქმედებდა ასე, რომ გრ. გველესიანის სერიოზული გამოკვლევაც კი დარჩა უდაბნოში მღაღადებელის ხმად. ამისთვის საჭიროა, სომხეთთან ხელშეკრულობაშიაც უეჭველად აღინიშნოს არსებობა გრიგორიან ქართველთა. რომელნიც რჯულის საქმეში ექვემდებარებიან მხოლოდ გრიგორიანი ქართველი ეპისკოპოსის იურისდიქციას, ხოლო რაც შეეხება მათ შორის სწავლა-განათლების გავრცელებას, მათი შვილები აღიზრდებიან ქართველობის სკოლებში. სომხურ-ეროვნულ სკოლაში კი, სადაც სწავლება იქმნება სომხურად, ქართულის სწავლება სავალდებულო იქმნება როგორც სახელმწიფოებრივი ენისა.

პეტრე მირიანაშვილი.

დ. ე. არაყიშვილის კონცერტი

14 ივნისს.

ხშირად გამიგონია სამდურავი, რომ ვითომ მუსიკოსები გვყვანან, მაგრამ ერთხელ მართლა ისეთი კონცერტი ვერ მოვისმინეთ მათგან, როგორსაც მართავენ ხოლმე მართლა ხელოვანთა ქურუმნიო. უბრალო კონცერტები, ვარიეტე-თარიალოსავან შემდგარი მოგვწყინდა და ეხლა დროა ნამდვილი საქმის მცოდნე და მუსიკაში გამობრძმედილ ხელოვანთაგან დამუშავებული, ჩვენი ეროვნულ კილოზე შემდგარ-შედუღებული და ხელოვნურად გაათასფეროვნებული, სხვა და სხვა საკრავ იარაღებზე გამოჭახრაკებული ნაშრომი გაგვაგონონო, რომ მით ჩვენც თავი მოვიწონოთ და ამაყად უთხრათ ჩვენ მტერ-მოყვარეთ: აბა მობრძანდით და მოისმინეთ ჩვენი მამულიშვილებისაგან რა რიგ კარგად, და ხელოვნურად არის დამუშავებული ჩვენი ეროვნული ხმებიო. ამისთანა სურვილი კარგი და საქებია, მაგრამ, როდესაც ამისთანა პირი აღმოჩნდება ჩვენში, მართლა ნამდვილი ქურუმი მუსიკისა, მას ჩვენ ვერ ვაფასებთ და ზემოდ ნათქვამი სურვილი მხოლოდ სიტყვებად რჩება და სხვა არაფერი. მაშ რით აიხსნება ის გულცივობა და უყურადღებობა, როგორიც გამოიჩინა ჩვენმა შეგნებულმა საზოგადოებამ 14 ივნისის გამართულ კონცერტზე კომპოზიტორ დ. ე. არაყიშვილისაგან, მერწმუნეთ ბევრი დაკარგა ამით ჩვენმა საზოგადოებამ.

რა უყოთ რომ ყველას არა აქვს იმისთანა მყვირალა ხასიათი, როგორიც ზოგიერთებს; რა უყოთ რომ არშიიანი აფიშებით არ აავსო ტფილისის ქუჩები და კარდაკარ არ ატარა ბილეთები გასასყიდად.

წმინდა და ნამდვილი ხელოვნება ამას გარეშე უნდა იდგეს. აი, როგორც ეტყობა, ჩვენ ზოგიერთებმა დაგვაჩვიეს ამერიკანული რეკლამებით თეატრში მიზიდვას. დროა ყურებიდან ბამბა გამოვიღოთ, თვალები კარგად გავახილოთ და ნამდვილი მოღვაწე და ხელოვანი, თავის საქმის ზედმიწევნით მცოდნე, გავარჩიოთ ხოლმე მყვირალა და მცონარა პირებისაგან.

სწორედ დ. არაყიშვილის კონცერტის მეორე დღეს „არშინ-მალ-ალანის" სერიი ვითომ და ოპერა „მაშადი იბადი" დადგეს ქართულ კლუბში. და განახათ რა ამბავი იყო თეატრში. საწუხაროა სწორე მოგახსენოთ! ეტყობა ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ კარგად ვერ მიხვდარა სიმფონიური კონცერტების მნიშვნელობას. სხვა არა იყოს რა მოღვაწეს გული გაუტყდება და ხალისი დაეკარგება მუშაობისა, თუმცა ნამდვილი მუშაკი ამას არ შეუშინდება და არ გადაუხვევს თავის მიზანს. ახლა თვით კონცერტზე. კონცერტი შესდგებოდა ორი განყოფილებისაგან. პირველი განყოფილება მთელი გამოფენა იყო რომანსებისა, 16 სხვა და სხვა ნაირი ნაწარმოები, სულ ერთის ავტორისა, თვით არაყიშვილისა, ხელოვნურად დაწერილი ეროვნულ ჰანგებზე, მშვენივრად შესრულდა ქ-ქ. ფერრარისამ, გაბაშვილისამ, ცნობილმა მომღერალმა ი. სარაჯიშვილმა თავისებური ალტაცებით და გრძნობით და ა. ინაშვილმა, რომელიც, როგორც ეტყობა მომავალში ნიჭიერი მომღერალი იქნება ჩვენი სცენისთვის. მეორე განყოფილება შესდგებოდა სიმფონიური ნაწარმოებისაგან, რომელიც [illegible] იწვევდა, და არ ილერდა რომელი ნაწარმოები რომელსა სჯობდა; ყველა ერთნაირად დამატკბობელი და ცად აღმტაცი იყო. მთელი ორკესტრი იყო ჰანგებისა ხელოვნურად ერთი მეორესთან შეთანხმებულ-შეხმატკბილებული. რთული და მდიდარი ორკესტროვკა, ხელოვნური და მადლიანი მარჯვენა ნიჭიერი კომპოზიტორისა, უადრეს და სათნოებით სულისა და გულის დამატკბობელ ექსტაზს იწვევდა დამსწრეთა შორის. ეტყობა ნიჭიერ კომპოზიტორს ზედმიწევნითი ცოდნა ჰქონია ჩვენი ეროვნული სიმღერებისა და ორკესტროვკის დროს განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია სიმებიან და ხის საკრავ იარაღებისათვის და მომეტებული ადგილი მიუცია მათთვის, ვიდრე თითბრისამებრ საკრავ იარაღებისათვის. რა თქმა უნდა, რომ ჩვენი ენიანი თუ უენო სალამურის მაგვარი საკრავები და დუდუკისა და ჰიანურის მაგვარი იარაღებზე დაწყობილი ჰანგები, ჩვენ ეროვნულ კილოსთან სწორედ ზედგამოწყობილია და გულზე მალამოდ გედება.

ერთი სიტყვით 14 ივნისის კონცერტი მუსიკალური დღესასწაულის სადღემო იყო, მაგრამ გული მწყდება რომ ცოტა ხალხი დაესწრო; ან იქნება არ იცოდნენ? ღმერთმა ჰქნას რომ ასე იყოს. როგორც გავიგე, პატივც. დ. ე. არაყიშვილს უნდა დიდ ოპერის თეატრში გაიმეოროს კონცერტი შევსებული პროგრამით და იმედია, თუ მოახერხა, ჩვენი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს მას.

და ბოლოს არ შემიძლიან ის სასიამოვნო მოვლენა არ აღვნიშნო რომ, ჩვენი ქართული კლუბის მმართველთა საბჭო, ისეთის ყურადღებით ეკიდება ჩვენ კომპოზიტორების ნაშრომს და არა ხარჯს არ ერიდება ოღონდ მათი ნაღვაწევი გამოაჩინოს და გააცნოს საზოგადოებას, ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია არის.

ზ. ჩხიკვაძე.

ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების გარშემო

„არც სახელწოდება, არც სარწმუნოება, არც წინაპართა მიერ გადმოცემული სისხლი არ ჰქმნიან ადამიანს ამა თუ იმ ეროვნების შემკვიდრედ. ადამიანის სულში უნდა ვეძებდეთ მისი ამა თუ იმ ერის შვილობას—მხოლოდ, რით განისაზღვრება ერის შვილობა?—აზრით. **ვინც რა ენაზე ფიქრობს, იმავე ენის ერს ეკუთვნის**". ამნაირად, ცნობილი რუსის მწერალი ვ. დალი გვიმტკიცებს: რა ენაზედაც ფიქრობ და აზროვნებ, მთელი შენი არსებით, სულით და გულით იმ ეროვნებას ეკუთვნი...

საუბედუროდ, ქართველ ერს ერთი საუკუნის მეტი ქართულად არ უფიქრნია,—ჩვენ ვფიქრობდით და ვაზროვნებდით უცხო ენაზე: და სწორედ ამან გადაგვარების, დაცემის და სიმახინჯის გზაზე დაგვაყენა, და სწორედ ეს გარემოება აჩქარებულად უფსკრულისაკენ მიგვაქანებდა... დიახ, უფსკრულისაკენ, ვინაიდან მთავრობის მიერ ქართული ენის, დევნა-შევიწროებამ ჩვენ დავიწყეთ ოჯახიდან მისი განდევნა; ჩვენ ქართული ენას გაურბოდით იქაც კი, სადაც მისი ხმარების უფლება გვქონდა; ჩვენში ადამიანის განათლება რუსული ენით იზომებოდა..

დიახ, უფსკრულისაკენ, ვინაიდან დიდებული უშინსკის სიტყვებით—„წაართვით ხალხს ყოველივე და მას შეუძლია ყოველივე დაიბრუნოს; მაგრამ წაართვით მას ენა და ის ვეღარასოდეს ვერ შეიძლებს მის შექმნას; ახალი სამშობლოს შექმნაც კი შეუძლებს, ხოლოდ ენისას,—ვერასოდეს. ჩაკვდება რა ენა ხალხის ბაგეზე—მოკვდება თვით ხალხიც".. დიახ, უფსკრულისაკენ, ვინაიდგან მთელი საუკუნე განმავლობაში არავის, თითქმის არავის, უფიქრნია ქართული ენის სიმშვენიერეზე, განვითარებაზე, გამოცოცხლებაზე და გამშვენიერებაზე, და ეს ბუნებრივად იყო აგდებული. არა მარტო იმითგან, ვინც ჩვენს ენას „ძაღლურ" ენას უწოდებდა, არამედ თვით ხალხის მიერაც...

და დღეს, როდესაც ქართველი ერისთვისაც მზე ამოვიდა, როდესაც ქართველი ერი კულტურულ საკაცობრიო ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა, როდესაც თვისი ბედ-იღბლის გამომჭედი თვითვე შეიქმნა,—ყველას

გვმართებს დიდი სიყოჩადე, ჯუნარი, ჭკუა და საქმიანობა, რომ წამებული ჩვენი სამშობლო ეხლა მაინც აღდგენილ იქმნეს, აღდგენილ იქმნეს სიტყვით კი არა—საქმით, აღდგენილ იქმნეს და გამოცოცხლებული ქართული ენა მთელი თავისი სიმშვენიერით, რომ ქართველმა ერმა ამიერიდან მაინც დაიწყოს ქართულად ფიქრი და აზროვნება...

ამიერიდან ხალხს საჭირო ცოდნა ქართულ ენაზე უნდა გადავსცეთ; სასწავლებლებში სწავლება ქართულ ენაზე უნდა ვაწარმოოთ; მეცნიერული და ტეხნიკური ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ქართულ ენაზე უნდა გამოვსცეთ... ერთი სიტყვით, ამიერიდან ქართველი ერის გონებრივი წარმატება, ჩვენი ქვეყნის სასოფლო-მეურნეობის, მრეწველობის და აღებ-მიცემობის განვითარება ეროვნულ ნიადაგზე უნდა მოხდეს; ამიერიდან ქართველმა ერმა თავისი წვლილი კაცობრიობის წინმსვლელობის საქმეში ეროვნული სახით უნდა შეიტანოს, და ყოველივე ეს კი მოითხოვს მეცნიერების და ტეხნიკის ყველა დარგთა თერმინოლოგიის შემუშავების აუცილებლობას.

თერმინოლოგიის უქონლობა ყველას შეძლებას აძლევს თავისებურად იხმაროს სიტყვები და თერმინები; თერმინოლოგიის უქონლობის მიზეზით ხშირად სხვა და სხვა მცნება ერთნაირი თერმინით არის გამოხატული და, პირიქით, ერთი რომელიმე მცნება ორი და სამი სხვა და სხვა თერმინით..

თუ ანარქია და საზოგადოდ არევდარევა დასაგმობია ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, მით უფრო დასაგმობია ის მეცნიერულ და ტეხნიკურ საკითხებში, სადაც აზრის და ფორმულის გამოცემაში გარკვეულობას, სიმარტივეს და სიცხადეს უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დიდი სოლიდარობაა საჭირო; ამიტომ აუცილებელია შეთანხმება, ყოველი საგნის თერმინების ნათლად გამორკვევა და ერთხელ მიღებულის დაკანონება და დაცვა.. ერთი სიტყვით, საჭიროა დამყარდეს მტკიცე დისციპლინა, რის შემდეგ მერყეობას, არევდარევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ქართულ ენაზე მოგვეპოვება სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნები—ნაბეჭდი და ხელთნაწერი, და მათი გადათვალიერება და შესწავლა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მოგვეპოვება აგრეთვე სხვა და სხვა ლექსიკონები, რომლებითაც გონივრულად ხელმძღვანელობაა საჭირო. ვიცით კიდევ, რომ ჩვენს ხალხში იხმარება ბევრი ქართული თერმინები და აუცილებლად საჭიროა გაცნობა და ამოკრება ხალხის მეტყველების ყოველი წვლილისა, მცნებისა...

რასაც ჩვენს ენაზე ვერ აღმოვაჩენთ, მოგვიწევს უცხო ენიდან გადმოთარგმნა-გადმოქართულება და საბოლოოდ მიღება...

სამუშაო ბევრია და ყველამ უნდა ვეცადოთ თავისი წვლილი შევიტანოთ ხალხის წინმსვლელობისათვის საჭირო საქმეში.

ქართული უნივერსიტეტი ამ ცოტა ხანში შეუდგება თერმინოლოგიის შემუშავების საქმეს...

ქართულ სატეხნიკო საზოგადოებასთან არსებული თერმინოლოგიის სექციაც იწყებს მუშაობას, და ორშაბათს, ივნისის 17, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩაზე № 11, მართავს კრებას.

ვინც დაინტერესებულია ქართველი ერის მომავლით; ვისაც სწამს, რომ ხალხში ცოდნის გავრცელებას ერი წარმატებისაკენ მიყავს; ვისაც ესმის, რომ მეცნიერების და ტეხნიკის განვითარებას, ხალხის წარმატებასთან ერთად საკაცობრიო მნიშვნელობაც აქვს და ვისაც შეუძლია რაიმე წვლილი შეიტანოს მეცნიერების და ტეხნიკის რომელიმე დარგის თერმინოლოგიის შემუშავების საქმეში,—ვალდებულია ამ სექციების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს.

მაშ, ვუსურვოთ მათ ნაყოფიერი მუშაობა!..

ინჟ. ვ. კაკაბაძე.

წერილი ახალციხიდან.

6 ივნისი

დღეს ბაქი-ბეი ურავლის საზოგადოებაში იყო წასული, სადაც მაჰმადიანთა მცხოვრებლებისთვის გამოუცხადებია: იცოდეთ, რომ ერთი ქრისტიანის მოკვლისთვის ათ მაჰმადიანს დაგხვრეტთო.

გამოიცა გენერალ მაყაშვილის ბრძანება, რომლითაც უქმდება საალყო წესები. ეს იმის მომასწავებელია, რომ დღეიდან ახალციხის ბატონპატრონია ოსმალეთი, ბაქი-ბეის სახით. მაყაშვილისავე განკარგულებით, თანახმად საქართველოს მთავრობის ბრძანებისა, მცხოვრებლებს ეკრძალებათ ახალციხიდან გასვლა, ვინაიდან უადგილობის და უსურსათობის გამო საქართველოს ტერიტორიაზე, გადმოხვეწილები და გამოქცეულები კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფებიანო. ახალციხიდან გასვლის ნება აქვთ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებს და მათ მოსამსახურეებს.

ახალციხის ქართველობას ყოველთვის სდევს რაღაცა უბედური ბედი. როგორც წინად ვსწერდით, ამ თვის 20-ში (ძვ. სტ.), საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აღსანიშნავად, ქალაქის თვითმართველობამ გამართა საზეიმო ხმოსანთა კრება, რომელმაც „ნახევარის პირით" მიულოცა და უსურვა საქართველოს აღორძინება და დაადგინა გახსნილიყო ქალაქის ხარჯზე სახალხო ქართული სკოლა და სხ. ახალციხის თვითმართველობას დღემდის ადგილობრივ ქართველებისთვის სრულებით არ უზრუნია და არც არაფერი გაუკეთებია და თუ მან დაადგინა სკოლის გახსნა ქართველებისთვის, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს იყო იძულებითი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბედმა გვიღალატა, ვინაიდან დღეს (საღამოს 8 საათზე) იმავე ქალაქის თვითმართველობამ ისეთივე სხდომა გამართა ოსმალეთის მთავრობის, ბაქი-ბეის შესახვედრად და ამნაირად, რა თქმა უნდა, პირველი სხდომის დადგენილებამ ჩაილუღის წყალი დალია და ქაღალდზე დაწერილი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, რადგანაც ახალციხე აღარ ეკუთვნის საქართველოს.

სხდომის გახსნისას ბაქი-ბეი მიესალმა ხალხს თავისი მთავრობის სახელით და ოსმალურ ენაზე სთქვა შემდეგი: „საჭიროა დავივიწყოთ სუყველა მძულვარება წარსულ უთანხმოებაზე აღმოცენებული, და ახალი სტრიქონით შევუდგეთ ძმურად ცხოვრებას. ყველგან არსებობს სახელმწიფოებრივი კანონი და არსებობს ხალხის ზნე-ჩვეულება. გწამდეთ, რომ ჩვენ (ოსმალეთი) არ გადაუხვევთ ჩვენს კანონებს და იმავე დროს არ გადაუხვევთ თქვენს ზნე-ჩვეულებას. ჩვენი მთავრობის სურვილია შემოიტანოს ისეთი ცივილიზაცია, რომელიც დღეს არის ევროპიდან ამერიკამდე. სურსათის მხრივ ჯეროვან ზომებს მივიღებთ უზრუნველვყოთ ყველა მცხოვრებლები. გთხოვთ ნურაფრის შიში ნუ გექნებათ, ვინაიდან თქვენი არსებობა უზრუნველყოფილია. ვერც ერთი მაჰმადიანი ვერ გაბედავს თქვენი ერთი წვეთი სისხლის დაღვრას. გადმომცეს, რომ გეშინიათ აქ დარჩენისა. თუმცა ყველასათვის გზა თავისუფალია, მაგრამ არ გირჩევთ მოშორდეთ სამშობლო კერას, ვინაიდან, სადაც წახვალთ, იქ დიდ გასაჭირს განიცდითო". ბაქი-ბეიმ თავისი სიტყვა დაასრულა ფრანგულ ენაზე და ნიშნად გულწრფელობისა, თავისი მთავრობის დავალებით, ეამბორა ქალაქის „მერ"-ს. სხდომაზე, ბაქი-ბეის გარდა, სიტყვა არავის წარმოუთქვამს. როდესაც ბაქი-ბეი სიტყვას ამბობდა, ამ დროს უცბად დარბაზში გავრცელდა ხმა: არიქა, თოფებს ხელი, ადგილობრივი მაჰმადიანები მოგვიახლოვდნენ დასაცემადაო. რა თქმა უნდა, შეგნებულისთვის ასეთი ხმა პროვოკაცია იყო და შეუგნებელისთვის მართალი.

ივნისის 7.

ახალციხე გადავიდა ოსმალეთის ხელში, მაგრამ რევოლიუციის ხანაში შემოღებული სიტყვა „პროვოკაცია" გვჭირდება ვიხმაროთ ოსმალეთშიც.

ათასნაირი ნაძირალები შიშის ზარსა სცემენ მცხოვრებლებს და პროვოკაციით უნდათ გაისქელონ ჯიბეები და გაიძღონ კუჭი. ათასგვარ ჭორსა და ხმებს ავრცელებენ ქალაქში. ხან ბოლშევიკები მოდიან ასაოხრებლად, ხან მენშევიკები და ხან მაჰმადიანები და იმასაც კი იძახიან, რომ თუ ჩვენი ჯარი გავა ახალციხიდან, მაჰმადიანები ჯერ ჯარს ამოსწყვეტენ გზაში და მერმე რიგი მივა მცხოვრებლებზეო. ამ ნიადაგზე ადგილობრივი ქართველი ჯარისკაცები აწყვერში და აბასთუმანში წასვლაზე უყოყმანობენ, რადგანაც მშობლები და ნათესაობა ახალციხეში რჩებათ. ახალციხეში დარჩენისა სომხებს და მათ ჯარს უაღრესად ეშინიათ.

დღეს საღამოს ქალაქში პირველად შემოვიდა ოსმალეთის რეგულიარული ცხენოსანი ჯარი 100 კაცამდე. ჯარმა გაიარა მთელი ქალაქი. მცხოვრებლები წყნარად შეხვდნენ. ჯარში ერთი ცხენოსანი აფიცერი „ბაშლიყით და პიჯაკით" გამოწყობილი ერია. ღამე ქალაქში არ გაჩერდა ეს ჯარი და ქალაქ გარედ გავიდა ისევ.

ივნისის 8.

მხოლოდ დღეს დაიწყეს სახელმწიფო ქონების გაზიდვა ახალციხიდან. დაიწყეს გაზიდვა ზარბაზნების და ყუმბარების. მიდიან სახელმწიფო დაწესებულებების მოხელენიც. დღესვე დილით წავიდა აწყვერისკენ სომხის ჯარი. დიდი აღიაქოთია ქალაქში. მაღაზიები და სავაჭროები მთლად დაკეტილია. საღამოს პირას უცბად გავრცელდა ხმა: სომხის ჯარი მაჰმადიანებს აწყვერში ამოუჟლეტიათ და ახლა ახალციხეზე მოდიან რაბათის მიმართულებითაო. შეიქმნა წივილ-კივილი და მონასტერი აირია, აირია ისე, რომ თვით ბაქი-ბეი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ასეთი ხმებისთვის და წასულიყო ქალაქის გარეთ სინამდვილის გასაგებად. ერთი საათის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ხმა პროვოკატორების მიერ იყო გავრცელებული.

ქ. ნ. მ—ძე.

თელავის შემნ.-გამს. ამხანაგობის წლიერი კრება.

ეს ამხანაგობა ერთ თვალსაჩინო საკრედიტო დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს არა თუ თელავში, მაზრაში, არამედ მთელს კახეთში, როგორც თავის ფართო ოპერაციებით ისე იმ დახმარებით, რომელსაც უწევს ამხანაგობა ყოველ წლივ სხვა და სხვა საკულტურო და საგანმანათლებლო საზოგადოებებს. ამხანაგობის სამოქმედო რაიონში თელავს გარდა, შედის ოთხი დიდი სოფელი ქურდღელაური, შალაური, ვარდისუბანი და გულგულა, მასში ირიცხება სამი ათასამდე წევრი, რასაკვირველია დიდი უმრავლესობა სოფლის მშრომელი გლეხობა და თელავის წვრილი ხელოსანი.

სესხის გარდა ამხანაგობა აწარმოებს საშუამავლო ოპერაციას, რომელიც შეადგენს მისი მოქმედების ერთ უმთავრეს ძარღვს, თუმცა აწინდელი უმაგალითო მსოფლიო ომი და რუსეთის ცხოვრების დარღვევა ხელს უშლის გააფართოვოს თავისი მოღვაწეობა, ხოლო სასურსათო კომიტეტების დაარსებით სურსათის საქმეც ჩამოშორდა, რომელსაც წინად ფართო მასშტაბით აწარმოებდა.

9 ივნისს დასრულდა ამ ამხანაგობის რწმუნებულთა კრება. რომელიც იყო პირველი 19 მაისის კრების გაგრძელება.

კრებაზე დაწვრილებითი ანგარიში, როგორც შემოსავალ-გასავლის, ისე აღებ-მიცემობის და სხვა ოპერაციებისა მოახსენა გამგეობის წევრმა ნესტორ ქაშაკაშვილმა, მხოლოდ სხვა და სხვა საკითხებზე განმარტებას და ახსნას მომხსენებლის გარდა იძლეოდნენ გამგეობის თავმჯდომარე გრ. ბურჭულაძე და გამ. წევრი ლ. გოგიაშვილი.

ანგარიშის და სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაამტკიცა 1917 წ. ანგარიში.

საანგარიშო წელს ამხანაგობის ბალანსი უდრიდა 585658 მან. ხოლო თანხათა ბრუნვა გამოიხატებოდა 8156310 მანეთში, წმინდა მოგება დარჩენილა 20174 მანეთი.

ეს მოგება წლიურმა კრებამ თანახმად გამგეობის და საბჭოს წარმოდგენილი პროექტის ასე გაანაწილა:

გადარიცხა საკუთარ თანხაში 5000 მან.
„ სათადარიგო თანხაში 2017 „
„ საშუამავლო „ 1000 „
საქართველოს ეროვნულ საბჭოს 5000 მან.
თელავის თავდაცვის კომიტეტს 2000 მან.
სახალხო სახლის სასარგებლოდ 1200 მან.
ქართულ უნივერსიტეტს 1000 მან.
წ. კ. საზ-ბის თელავის განყ. სკოლას 1000 მან.

ამხანაგობის რაიონის სოფლებს შალაურს, ვარდისუბანს ქურდღელაურის და გულგულს საკულტურო საქმეებისათვის 1600 მან. ხოლო დანარჩენი მოგება განაწილდა სხვა და სხვა საკულტურო საზოგადოებათა შორის.

ამას გარდა თელავის ახლად გახსნილ საავადმყოფოს მიეცა 1918 წ. მოგებიდან 1000 მან. მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ფულიდან ამხანაგობის სარაიონო სოფლების ღარიბებს მცხოვრებთ აღმოუჩინონ საექიმო დახმარება.

მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის მუხლობრივ განხილვის შემდეგ, რომლის ჯამი უდრის 62285 მან. კრებამ ერთხმად დაამტკიცა.

კრება ისმენს გამგეობის და საბჭოს მოხსენებას საწევრო ფულის გადიდების შესახებ, შედის მის არსებით განხილვაში და აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ხმის უმრავლესობით სწყდება ამხანაგობის წევრთ ნდობა გაედიდოთ 1000 მანეთამდე, აქამდე 500 მან. იყო ნდობის მაქსიმუმი.

სარგებლის გადიდების შესახებ კრება ადგენს მიენდოს გამგეობას და საბჭოს მოუმატოს გასესხებულ ფულზე სარგებელი იმ შემთხვევაში თუ ბანკებმა და სხვა და სხვა დაწესებულებებმა გაუდიდეს ამხანაგობას ნასესხ ფულზე სარგებელი.

კრებამ მიანდო აგრეთვე გამგეობას და საბჭოს მოსალოდნელ უიმედო ვალების დაფარვა იმ თანხებიდან, რომელიც უკვე ამ მიზნისთვის არის გადადებული.

ამით ამოიწურა დღიური წესრიგი და კრება შეუდგა არჩევნებს. საბჭოს თავმჯდომარედ ნაცვლად ნ. მამინაიშვილისა, რომელიც სამსახურის გამო ტფილისში გადავიდა, კრებამ ამოირჩია ს. მაჭავარიანი, ხოლო სოფლის წარმომადგენლები ცალ-ცალკე სოფლებიდან იქმნენ არჩეულნი.

დაგვიწყებული.

ქართული ფულის ფონდი

1. ნესტორ ჩხეიძესაგან მივიღეთ 29 თითბერის ძველი ფული და 3 ძველი ვერცხლის ფული.

2. ქევლიშვილისაგან—ოთხი მანეთისა და 70 კ. ვერცხლის ფული და ერთიც თათრული.

3. მიშა შალიკაშვილისაგან—10 მან. ვერცხლის ფული ერთი თათრული ვერცხლი და ერთიც ვერცხლის საფული.

4. იოსებ ძნელაძესაგან—1 ვერცხლის მედალი.

5. ენ—ორი თათრული ვერცხლის ფული და ერთიც სპილენძისა.

6. ნიკოლოოზ გრიგორის ძე ვარდანაშვილი 2 ვერცხლის მედალი, 15 ფული, 2 ნიკელის ფული, 1 ოქროს ჯვარი, 1 ოქროს სამაჯური, 2 ოქროს პაწია ნივთი და 17 ცალი სპილენძის ნივთი.

9. დავით პეტრეს ძე ლონდარიძესაგან ერთი ქალის თავის თათრული სამკაული ოცდა ოთხი ვერცხლის ლირათი.

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მასის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. გორგასლანის ქ. № 6.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხნის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 426

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

თვალის სამკურნალო
მუდმივი საწოლით
ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროს. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადერმატოლოგიო ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს. ყველა კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საექიმო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი ხვანშვილისა. ტელეფ. 5—11. 1080

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ი. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. მელიქოვის ქუჩა, № 7. 2180

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ [illegible] მინასარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ხ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ხ. გ. აგახაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიანი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ყოფილი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 6. 450

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას,
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „
გრდემლი წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	— 60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო"	— 40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	— 30 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14